ევროპის პარლამენტის 2009 წლის 12 ნოემბრის რეზოლუცია 2009 წლის 18 ნოემბერს სტოკჰოლმში ევროკავშირი-რუსეთის სამიტის მომზადების შესახებ

ევროპის პარლამენტი,
(…)
H. ვინაიდან ევროკავშირსა და რუსეთს შეუძლიათ და კიდეც უნდა შეასრულონ ერთად აქტიური როლი ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებაში, კერძოდ, საერთო სამეზობლო რეგიონებში, და იმუშაონ ერთად რუსეთსა და საქართველოს შორის და მის გამოყოფილ რეგიონებთან _ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან, ასევე მთიან ყარაბაღთან და დნეპრისპირეთთან კონფლიქტების მოსაგვარებლად საერთაშორისო სამართლის საფუძველზე; ვინაიდან რუსეთმა პატივი უნდა სცეს მისი მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური თვითგამორკვევის უფლებას,
(...)
18. მოუწოდებს საბჭოს და კომისიას განახორციელოს ერთობლივი ინიციატივები რუსეთის მთავრობასთან ერთად, რომლებიც ხელს შეუწყობს მსოფლიოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებას, კერძოდ, საერთო სამეზობლო რეგიონებში, და უზრუნველყოფს მთიანი ყარაბაღისა და დნეპრისპირეთის კონფლიქტების მოგვარებას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, და რაც მთავარია, რუსეთსა და საქართველოს, და მის გამოყოფილ ტერიტორიებს _ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის;
19. ამ კონტექსტში მიესალმება ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის მიღწევებს, რომელმაც მოახდინა ევროკავშირის სურვილისა და უნარის დემონსტრირება იმოქმედოს გადამჭრელად მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით. მისიამ ხელი შეუწყო 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებების შესრულებისთვის საჭირო პირობების შექმნას; კვლავ ადასტურებს მის პატივისცემას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და მოუწოდებს ყველა მხარეს სრულად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები; მიუთითებს, რომ ევროკავშირის მონიტორთა მისიის მანდატი მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება და რომ მას უნდა ჰქონდეს დაუბრკოლებელი ხელმისაწვდომობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, რაზედაც მას დღემდე უარს ეუბნებიან; კვლავ ადასტურებს მის ვალდებულებას ჟენევის მოლაპარაკებებისადმი და ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს მიერ ამ ფორუმის თანათავმჯდომარეობისადმი.

(http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.)